2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა

გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ილუსტრაცია, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრების, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი, წყაროების ანალიზი;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების ამოცნობა, მოვლენებს შორის მსგავსება-განსხვავებებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, მოვლენათა შეფასება და კრიტიკული ანალიზი;
- სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ანალიზი და შეფასება სამართლებრივ ჭრილში;
- საზოგადოებრივი პრობლემების გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა, პრობლემის გადაწყვეტის პროცესში დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფციის გამოყენება;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა, დაცვა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირება;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების, აზრის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

თემები	**საკითხთა ჩამონათვალი**
1. პიროვნული განვითარება	1.1 პიროვნების არსი; 1.2 სოციალიზაცია; 1.3 იდენტობა; 1.4 ადამიანის მოთხოვნილებები და ინტერესები; 1.5 ემოციური და სოციალური კომპეტენციების განვითარება: ემოციების მართვა, რეფლექსია, ემპათია, ასერტულობა, ეფექტური კომუნიკაცია, პრობლემის ინდენტიფიცირება, გადაწყვეტილების მიღება, სტრატეგიული დაგეგმვა.

2. პიროვნება და საზოგადოება	2.1 პიროვნების ადგილი და როლი საზოგადოებაში; 2.2 დაწერილი და დაუწერელი წესებით თანაარსებობა; 2.3 ძალადობისგან დაცვა; 2.4 ინკლუზიურობა; 2.5 თანასწორობა; 2.6 ტოლერანტობა; 2.7 დისკრიმინაცია; 2.8 კულტურული მრავალფეროვნება; 2.9 კონფლიქტის მართვა.
3. სასკოლო გარემო	3.1 სასკოლო საზოგადოება; 3.2 დემოკრატიული სკოლა და სასკოლო თვითმმართველობაში მონაწილეობა; 3.3 სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები: ჩაგვრა (ბულინგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა; 3.4 არასრულწლოვანთა დანაშაული; 3.5 ადრეულ ასაკში ქორწინება; 3.6 არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია.
4. ჯანსაღი ცხოვრება	4.1 პირადი ჰიგიენა; 4.2 ფიზიკური აქტივობები და ჯანსაღი კვება; 4.3 ადიქციის ფორმები და მათი მავნე ზემოქმედება ადამიანსა და საზოგადოებაზე.
5. გარემოს დაცვა	5.1 ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა, მათი დაცვა; 5.2 ეკოლოგია; 5.3 კლიმატის ცვლილება; 5.4 გარემოს მდგრადი განვითარება.
6. სამოქალაქო მონაწილეობა	6.1 საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება; 6.2 სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; 6.3 არასამთავრობო ორგანიზაციები; 6.4 ტრადიციული და სოციალური მედია; 6.5 მედიაწიგნიერება (დეზინფორმაცია, ფაქტი და მოსაზრება).
7. ადგილობრივი თვითმმართველობა	7.1 თვითმმართველობის სისტემა; 7.2 ადგილობრივი თვიმმართველობის საქმიანობა და მასთან თანამშრომლობა; 7.3 ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში.
8. სახელმწიფო მმართველობა	8.1 სახელმწიფოს მოწყობა; 8.2 ხელისუფლების დანაწილება; 8.3 კონსტიტუციური მმართველობა;

	8.4 საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია; 8.5 საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები და მათთან თანამშრომლობა.
9. სამართლებრივი კულტურა	9.1 სამართლებრივი სახელმწიფოს არსი; 9.2 კანონი და კანონის უზენაესობა; 9.3 სამართალი და მართლმსაჯულება; 9.4 ადამიანის უფლებები და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები; 9.5 ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.
10. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა	10.1 პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები; 10.2 პოლიტიკური რეჟიმები; 10.3 დემოკრატიული ღირებულებები, თანამედროვე დემოკრატიის განვითარება; 10.4 დემოკრატიის ძირითადი პრინციპები; 10.5 დემოკრატიული არჩევნები; 10.6 პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე; 10.7 საერთაშორისო ურთიერთობები; 10.8 საერთაშორისო ორგანიზაციები.
11. მოქალაქეობა	11.1 მოქალაქეობის ისტორია და არსი; 11.2 საქართველოს მოქალაქეობა; 11.3 გლობალური მოქალაქეობა.
12. სამშვიდობო პროცესები	12.1 საერთაშორისო საფრთხეები (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი); 12.2 მიგრაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები); 12.3 ჰუმანიტარული სამართალი; 12.4 საერთაშორისო სამშვიდობო პროცესები და საქართველო.
13. გლობალიზაცია	13.1 გლობალიზაციის პროცესი და მისი გავლენა საზოგადოებაზე; 13.2 ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ურთიერთმიმართება; 13.3 საქართველო და გლობალიზაციის პროცესი;
14. ეკონომიკური საქმიანობა, მეწარმეობა და ბიზნესი	14.1 ფინანსურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებები, ბიუჯეტი; 14.2 ფული და მისი ფუნქციები; 14.3 კერძო საკუთრება და საზოგადოებრივი საქონელი/მომსახურება; 14.4 ბაზარი და კონკურენცია;

	14.5 მეწარმე და მეწარმეობა; 14.6 ბიზნესის ფუნქციონირება; 14.7 ბიზნესის მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორები.
15. ეკონომიკა და სახელმწიფო	15.1 ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები; 15.2 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები; 15.3 ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტები; 15.4 მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები; 15.5 შრომისა და მეწარმეობის თავისუფლების, ასევე საკუთრების უფლების დაცვის მექანიზმები; 15.6 სახელმწიფო ბიუჯეტი.
16. გლობალური ეკონომიკა და საქართველო	16.1 საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები; 16.2 საერთაშორისო ვაჭრობა; 16.3 ეკონომიკური კრიზისები; 16.4 ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება.